

ქობულეთში მშენებარე ჰესის გვირაბი ჩამოინგრა

gurianews.com/_left_wide/45541_67_ka/qobuleTSi_mSenebare_hesis_gvirabi_Camoingra.html

ქობულეთში, მდინარე კინტრიშის ხეობაში, კინტრიშის ნაკრძალის სიახლოვეს მშენებარე ჰესის ერთკილომეტრიანი გვირაბი ჩამოინგრა. ნგრევა მას შემდეგ მოხდა, როცა გვირაბის ტესტი მიმდინარეობდა და მასში წყალი გაუშვეს. ნგრევის შედეგად გვირაბიდან გამოვარდნილმა წყლის ნაკადმა მიმდებარე ტერიტორია წალეკა და მძიმე ტექნიკა მდგომარეობიდან გამოიყვანა. შემთხვევას ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია. წინასწარი ინფორმაციით კი, ზარალი ნახევარ მილიონ ლარს აჭარბებს.

შემთხვევა წინაასახლწლო დღეებში მოხდა, თუმცა, ინფორმაცია ახლა გახდა ცნობილი.

კინტრიშის ნაკრძალის სიახლოვეს 5 მეგავატიან ჰესს კომპანია „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“ აშენებს. ანალოგიური საქმიანობით იგი სამეგრელოსა და სვანეთშიც არის დაკავებული.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში ადასტურებენ, რომ მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა და კომპანიის ხელმძღვანელობამ სამინისტროს წერილობით აცნობა მომხდარის შესახებ. თუმცა, „გურია ნიუსთან“ სატელეფონო საუბრის დროს, სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, რომ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, წერილობით უნდა მივმართოთ.

ცნობისთვის, რამდენიმე წლის წინ, როცა მდინარე კინტრიშზე ჰესის მშენებლობა იწყებოდა, არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" და სხვა ორგანიზაციები ამ მშენებლობის წინააღმდეგი იყვნენ. თავდაპირველად მშენებლობა შეჩერდა კიდეც, მაგრამ ხელისუფლების შეცვლისთანავე განახლდა.

ჰესის სიახლოვეს მდებარეობს საქართველოს ბუნების უმნიშვნელოვანესი - კინტრიშის ნაკრძალი, სადაც კოლხური ტიპის მცენარეულობის ხელუხლებელი ტყეებია დაცული.

შენიშვნა: ფოტო არ ასახავს შემთხვევის ადგილს

